ფინაური საქმეები.

ოკრ-კვირეული გაზეთი

№ 5.

ფასი ერთი შაური

ფლიური ფასი 3½ მან.

წელიწადი მეშვიდე.

ხუთშაბათი. 15 მაისი 1914 წ.

772

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

15

სიტყვა

წმ. თამარ მეფის დღეს.

1 მაისს

მზისა, ვარდისა, სიცოცხლისა და შვების თვეა მაისის თვე. ამ თვეში მზე, ვით აკვანზე ბავშვისათვის ძუძუს მისაცემად დახრილი თმა გაშლილი დედა, უკლებლივ აფენს ბუნებას თავის უთვალავ სხივებს, მაგრამ არა იმისთვის, რომ ამ სხივებმა დასწვან და გაახმონ რამე, არამედ იმისთვის, რომ მათ იგი ბუნება გაალხვ-გაათბონ და სიცოცხლის ნაკადი აამოძრავონ მასში, გამოაღვიძონ, გააცოცხლონ იგი და აფფურონ, გაანედლონ და გამოაწყონ სამოქ-მედოთ მისი წიაღი; ამ სხივებს დედის ტკბილი ძუძუსავით სწოვენ სულდგმული და უსუ-

ლო არსებანი, ამ სხივების წყალობაა, რომ ზამთრისგან მიმკედარებული ბუნება ლონეს იკრებს მაისში, წელში იმართება, გამოაქვს გარეთ თავის წიაღში ჩამალული სიმდიდრე, იფოთლება, იფურჩქნება, ფერად-ფერად იმოსება, ზეიმობს და მთასა და ბარში, მინდორში და ტყეში, ვენახში და ხევში ყველგან მხიარულებაა, ყველგან გალობა და ხმაურობაა ყველგან სიცოცხლე და მეჯლიშობაა გაჩაღებული. ვარდი და ია, ნორჩი ბალახი, ფრინველთა მხიარულება და ჩამომავლობისთვის ბუდის შენება, კრავები, ჩვილი ხბოები, ახალი ხილი და მინდორში ღვთისაგან ნაკურთხი ქვეყნის მკვებავი გუთანი | ყველა ეს კუთვნილებაა მაისის თვისა, ყველა ეს ჩნდება და იხილება ხსენებულ თვეში!

ამ სიცოცხლისა, გაფურჩქვნ-აყვავებისა, სიხარულისა და შვება სიტკბოების თვესთან დაუკავშირებია ქართულ ეკლესიას ჩვენი სიქადულისა და დიდების—თამარ მეფის ხსენება. მაისის პირველი დღე თამარ მეფის ხსენების დღეა ქართულ ეკლესიაში. და ეს უბრალო შემთხვევით როდია, ძვირფასნო მსმენელნო, ჩადენილი! არა, ამით მშობლიო ეკლესია გამოთქვამს თავის აზრსა და შეხედულობას თამარის პიროვნებაზე, ამითი იგი მსჯავრსა სდებს თამარის მართვა-გამგეობას, ამითი იგი გვაცოდინებს თამარის ღირებულობას საქართველოსთვის. რაც მაისის ნაზი და მაცოცხლებელი მზეა ბუნებისათვის, ის იყო საქართველოსთვის თამარ მეფეცო, როგორც მაისის თვეში იღვიძებს ბუნება და თანდათან ღორძინდება, ყვავდება, მშვენდება და მდიდრდება, ისე საქართველო თამარის დროს გამოფხიზლდა, აყვავდა, აღორძინდა ყოველ მხრივ განვითარდა და სახელ განთქმული შეიქმნა მსოფლიო ისტორიაშიო,—აი, ამას გამოსთქვამს, ამაზე გვითითებს და ამას უსვამს ხაზს ჩვენი ეკლესია თამარ დედოფლის ხსენების განწესებით მაისის თვის პირველ რიცხვს.

ასეთი შეფასება თამარის პიროვნებისა არაფერით არაა გაზვიადებული და გადაჭარბებული. თამარმა სწორეთ მაისის თბილ მზისავით სული ჩაუდგა, აამოძრავა, გააცოცხლა, გააძლიერა, ააყვავა და პოლიტიკურად გააძლიერა თავისი ბრძნული მართვა-გამგეობით საქართველო. იმ დროის ისტორიული ნაწერი საბუთებიც რომ არ გვქონოდა, თამარის დიდებულ საქმეებს მაინც უტყუარად დაგვისურათებდნენ უცხო ქვეყნის—ბერძნების, არაბების, სომხების და სხვ. მწერლები, სულაც რომ არა დაწერილიყო-რა თამარზე, იგი მაინც დიდებულ მნათობად წარმოუდგებოდა ჩვენს გონებას იმ არხებისა და წყალსადენების, საოცარი სიმაგრის ხიდებისა და ციხე კოშკებისა, დარბაზებისა, ტაძრებისა და მონასტრების მიხედვით, რომლებითაც მოფენილია მთელი კავკასია, ბოლოს, ამ ნაშთების კვალიც რომ რამე უკულმართობის გამო სრულებით გამქრალიყო, თამარი მაინც ისევ სხივმოსილ მზედ გვეჩვენებოდა, რადგანაც მისი საოცნებო სიბრძნისა, გამჭრიახობისა, მაღალი გონებისა, ყოვლის ცოდნისა, სათნოებისა, სიმდიდრისა, მეფური სიმძლავრისა და მომხიბლავი სილამაზის შესახებ ქართველ ერს ერთი მეორეზე ეჯიბრებიან ზეპირ გადმოცემებით, მოთხრობებით, ლექსებით და სიმღერებით ოსები, ჩერქეზები, დაღესტნელები, სომხები, ბერძნები, სპარსელები და სხ. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, თამარის მზეობას ცხად ჰყოფენ, როგორც ჩვენი სამშობლო, ისე უცხოელი მატიანენი, მისი დროის დიდებული ხუროთმოძღვრების უთვალავი ნაშთები და ზეპირ სიტყვიერებითი მოთხრობანი.

საქართველოს სამეფო ტახტზე ქალთაგან პირველად თამარმა შესდგა ფეხი. რამდენათაც არა ჩვეულებრივი იყო ეს მოვლენა, იმდენად არა ჩვეულებრივი განხცრომით, მანამდე არ გაგონილი ბრწყინვალე დღესასწაულობით გადიხადა მეფე ქალის ტახტზე ასვლა ბედნიერმა საქართველომ. მშვენებით მოპრწყინვალე მეფეს ძვირფასი თვლებით მოჭედილი გვირგვინი თავზე დაადგა ანტონ ჭუთათელმა, წელზე ხმალი შეარტყა რაჭის ერისთავმა, სკიპტრა ხელში ააღებინა მამამ გიორგი მეფემ, მეფეთა ძოწეული მხრებზე მოასხეს დიდებულებმა; ყვე-

ლამ შეჰფიცეს ერთგულობაზე და ბოლოს გამართეს დიდებული ლხინი, მემატიანეს სიტყვებით „ჰკრეს სპილენძ-ჭურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა; იყო ზარი და ზეიმი ქალაქსა შინა, სიხარული და მხიარულება, შვება და მოსვენება, იმედი უიმედო ქმნილთა და სასოება უსასო ქმნილთა“.

მხიარულებას და ხალხის აღტაცებას აორკეცებდა ის, რომ ტახტზე მდგომმა მეფემ გაახსნევინა მამა-პაპათა საუნჯენი და გაშლილი ხელით გასცემდა ოქროსა და ვერცხლს გაჭირვებულებზე, ქვრივ-ობლებზე, ლაშქარზე, ასე რომ, თავალათ მნახველის მოწმობით, „ამა ესე. ვითარსა შინა დაწყებასა წყალობისასა, იმერთა და ამერთა, ზემოთა და ქვემოთა არა დაუტევა მექენე, რომელსაცა ზედა არა უხვებით მიჰფინა წყალობა და სამარადჟამ. ჩვენ განგებ ხაზს უსვამთ და ყურადღებას ვაქცევთ უკანასკნელ სიტყვას, ეს ლექსი გვიჩვენებს, რომ მეფე-ქალმა თავისი მართველობა დაიწყო სამართლიანობის დამყარებით; მან მოსთხოვა მოხელეებს, რომ ხალხს ამიერიდან მოპყრობოდნენ სისწორით, მიუდგომლობით, გულახდილობით, მართლმსაჯულებით; ვალად დაუდგინა, რომ სულ მდაბალი და უმნიშვნელო პირიც არ გაეხადათ მსხვერპლად უსამართლო ძალმომრეობისა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდნენ ეკლესიის საქმეები, მწყემსთა და სამწყოსის შორის განწყობილების მოგვარება. ბრძენმა დედოფალმაც სწორეთ ამას მიაქცია ყურადღება. მან დაიბარა იერსალიმიდან სიბრძნითა და წმიდა ცხოვრებით ცნობილი ყოფილი მცხეთის ქათალიკოსი ნიკოლოზი, შეკრიბა უკანასკნელის თავჯდომარეობით მთელი სამეფოს ეპისკოპოსნი, მონაზონნი, მეუდაბნოენი და საღმრთო სჯულის მცოდნე პირები, შეეიდა კრებაზე, სიმდაბლით ეამბორა მამებს, როგორც უბრალო პიროვნება და შემდეგ დაახლოებით ასეთი სიტყვებით მიმართა მათ: „წმინდანო მამანო, თქვენ დადგენილნი ხართ ღვთისაგან მოძღვრებად და გამგებლებად ეკლესიისა, თქვენ მოგთხოვთ ღმერთი პასუხის გებას ჩვენი ცხონების შესახებ. მიაქციეთ მკაცრი ყურადღება ქრისტიანეთა ცხოვრებას, კეთილი მხარე ამ ცხოვრებისა განამტკიცეთ, ხოლო რაც უგვანო და ბოროტი რამაა მასში, უსათუოდ მოსპეთ, მოჭეთეთ და სასტიკად აკრძალეთ დადგენილებით. გასწორება იწყეთ ჩემიდგან, რადგანაც სიდიდეს ვატარებ მეფობისათვის და არა ღვთის საგმობლად, ნუ მოერიდებით მოავრებს მათი ლიდკაცობის გამოისობით და ნურც უბრალო პირებს შეურაცყოფთ მისთვის, რომ იგინი უბრალონი არიან; თქვენ კეთილი დადგენილებანი მოახდინეთ და მე მათი შესრულებით დაგეხმარებით, თქვენს სწავლას შევითვისებ, თქვენ მაგალითი დაგვიყენეთ წინ, და მის განხორციელებას მე ვიდებ თავს. ორივე მხარემ ხელი ხელს მივცეთ სარწმუნოების დაცვაში, რომ არ ჩავცვივდეთ ღვთის პასუხის გებაში თქვენ, როგორც მღვდლები, მე, როგორც მეფე, თქვენ, როგორც უმფროსი გამგენი, მე როგორც უბრალო დარაჯი“.

გამხნევებულმა მეფის ამგვარი მოპყრობით, კრებამ გასწმინდა ქრისტეანების ცხოვრება დროთა ვითარებისაგან შემოპარული ბოროტი ჩვეულებებისაგან, ეკლესიის სათავეში ჩააყენა ქათალიკოზი, ნიკოლოზი, ყველაფრით მსგავსი წმ. ნიკოლოზისა, განჰკვეთა უღირსი ეპისკოპოსები და ყველგან, ეკლესიაში თუ ოჯახებში, დაამყარა სასურველი წესიერება.

თამარ მეფის გამჭრიახმა თვალმა ჩქარა შენიშნა და დაუყონებლივ ჩამოაშორა სამეფოს გამგეობას შიგა და შიგ ავადმყოფობისაგან დაუძლურებულნი და უღირსად ამაღლებული დიდრონი მოხელეები, რომელთა სამსახური უკმაყოფილებას ბადებდა ხალხში.

სხვათა შორის თამარს გაუდგა ერთი მძლავრი მოხელეთაგანი, მეჭურჭლეთ უხუცესი, ე. ი. სამეფო ხაზინისა და ქონების გამგე, სახელით ყუთლუ-არსლანი. იგი სწუნობდა თავის თანამდებობას და ცდილობდა გამხდარიყო ამირსპასალარად, — ეხლანდებურათ სამხედრო მინისტრად. ყუთლუ-არსლანმა შეადგინა დიდებულებისაგან პარტია, გადაიბირა ჯარის ნაწილი

და ეპირებოდა იარაღით ხელში თავის სურვილების განხორციელებას, მაგრამ აქ იყო რომ თავი იჩინა თამარ მეფის სიბრძნემ და დიდ ბუნებიანობამ. რასაკვირველია, თამარისათვის არაფერს სიძნელეს არ წარმოადგენდა ხსენებული ურჩის შეპყრობა, მისი და მისი მომხრეების სასტიკად დასჯა, მაგრამ დიდებულმა მეფემ ეს არ იკადრა.. უსიამოვნების გასაქრობად მან მიმართა მაღალსა და კეთილშობილურ გზას,—სიტყვიერ ჩაგონებას. დედოფალმა აჯანყებულებს მოციქულად მიუგზავნა ორი პატივსადები მანდილოსანი: ხვაშაქ ცოქელი და კარავ ჯაყელი წინადადებით, რომ განდგომილებს დაეყარათ იარაღი, დამშვიდებულიყვნენ და დედოფალი აპატივებდა მათ დანაშაულს.

საუცხოვო შედეგი იქონია დედოფლის გონიერმა მოსაზრებამ: მანდილოსანთა მოციქულობამ იმდენად იმოქმედა მეამბოხეებზე, რომ უცბათ დააყარეს იარაღი და, მატიანე'ს მოწმობით, „მაშინვე მოყვეს დიდებულნი ბძანებასა პატრონისასა (ე. ი. თამირისას), მოვიდეს წინაშე თამარისა და დავრდომით თაყვანისცეს, და აღიღეს ფიცი პატრონისაგან, და მისცეს პირი ერთგულებისა და ნებისყოფისა თვისსა“

ასე აამაღლა, ფასი დასდო, გააცისკროვანა და წრფელი პატივისცემით შემოსა ქალის პიროვნება ქართველი ერის თვალში ბრძენმა მეფემ თავისი გონიერი საქციელით, ასე დიდებულ და სათაყვანებელ საგნად გახადა მან ერის თვალში ნაჩვენები მოსაზრებით მანდილი პატიოსანი დიასახლისისა იმ დროს, როდესაც არავითარ ანგარიშს არ უწევდენ დედაკაცს, როდესაც ქალი ყოველგან მამაკაცის გასართობ და სასიამოვნო ნივთად იყო ცნობილი!

ქალი ბურჯია ერის კეთილდღეობისა, ქალი მატარებელია ერის სჯი სიცოცხლისა, ქალი დვრიტაა ეროვნების დღეგრძელობისა და ვინ იცის, რომ ჩვენი ერის აქამდე არსებობა, ჩვენი ერის განსაცვიფრებელი ხანგრძლივობა, ჩვენი ერის ასე თუ ისე გამარჯვებით გამოსვლა იმ მძიმე და აუტანელი პირობებიდან, რომლებიც მას წილად ერგუნა ულმობელმა ისტორიამ, პირობებიდან, რომლებმაც დიდი ხანია მოსპეს და დედამიწიდან აღხოცეს ჩვენზე გაცილებით მეტად მძლავრი ერები, პირდაპირი შედეგი არ არის იმისი, რომ შარავანდედით მოსილმა თამარ მეფემ თავისი მაგალითით და მოქმედებით ქალისადმი მაღალი პატივისცემისა და ნაზი რიდის მოუშლელ ტახტად გახადა ქართველი კაცის გული!

ჩვენს დროს საითაც უნდა გავიხედოთ, რომელი სახელმწიფოც უნდა ავიღოთ, ყოველგან გამეფებულია დაუცხრომელი, მედგარი, სამკვდრო სასიცოცხლო შინაგანი ბრძოლა იმის თაობაზე, რომ უმაღლესი მართვაგამგეობა სახელმწიფოებისა ხალხსაც ეკითხებოდეს, რომ ამ გამგეობას მარტო მეფეები არ კისრულობდნენ. ეს ხდება დღეს, მეოცე საუკუნეში. თამარმა კი შვიდასი წლის წინეთ თავისი ნებით და შეგნებით გვერდში ამოიყენა დიდებულთა კრებული, რომელიც ერთის მხრით იხილავდა და მსჯავრსა სდებდა მეფის ყოველ მნიშვნელოვან განკარგულებას, ხოლო მეორე მხრით საკუთარ მოსაზრებებს უდგენდა მას შესასრულებლად, ე. ი. მანამდე თვითმპყრობელობით აღჭურვილმა მეფემ თავის თავად ჩამოირთვა უფლებანი და, ქვეშევრდომთა სასიკეთოთ, მიანდო არასტოკრატიულ კონსტიტუციას.

ახლა ის რამდენად ღირს, რომ ამ საოცარმა მეფე ქალმა, მიუხედავად მისი დროის სისასტიკისა, როდესაც ყველა მეფეები და გამგებლები თითქმის ჩვეულებრივ საქმედ სთვლიდენ დამნაშავის სიკვდილით დასჯას ან დამახინჯებას გამოპურვით, ენის ამოგლეჯით, ხელ-ფეხის წაჭრით, თვალების დათხრით, ცხვირისა და ყურის მოთლით, არამც თუ საესებით მოსპო თავის სამფლობელოში ამგვარი საშიშრობანი, კაცის ღირსების დამამცირებელი და შემზღალავი მოქმედებანი, მემატიანეს სიტყვით, „არცა თუ ტანჯვანაგი“, ე. ი. მათრახი, „უბრძანა ვისდამე დაკვრა“! ახ-

ლა თქვენ ბძანეთ, ძვირფასნო მსმენელნო, განა ჩვენ დროში ბევრგან აქვთ ამდენად ლმობიერი, ამ ხარისხამდე გულთბილი, ამდენათ პატივდებით მოპყრობა დამნაშავეებს? საქართველოს მოსაზღვრე ჰკუა ბნელი და უწვრთნელი სპარსები და თურქები ფეხზე აღარ იდგნენ სიხარულით, როდესაც გაიგეს საქართველოს სამეფო ტახტზე თამარის ასვლა. თამარი ქალია, ის თავს ვერ გაართმევს სამხედრო საქმეებს, ვერ გაბედავს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას და სულ ჩქარა დავეპატრონებით საქართველოსო, ასე ფიქრობდნენ ხსენებული ერები და მოურიდებლად იწყეს შემოსევა სხვადასხვა მხრიდგან. მაგრამ სინამდვილემ შიგ ძირში შეაკვეცა ფრთები მათ ოცნებას, თავზე ცივი წყალი გადაავლო ყველას.

თამარმა გადაიხადა გარეშე მტრებთან შემდეგი ომები: შამქორისა სპარსელებთან, რომელშიაც ქართველებმა უკუაქციეს მოწინააღმდეგენი და ხელთ იგდეს მათი ბანაკი, ორმეტი ათასი ტყვე და ურიცხვი ოქრო და თვალმარგალიტი; ბოლოსტიკისა თურქებთან, სადაც თავი ისახელეს შეუდრეკელობით ქართველებმა; ორი მხრიდან მამაცური შეტევით იმერ-აფხაზებმა და ქართლელ-კახელებმა სძლიეს ოთხასი ათასი თურქი და ყელამდინ აივსო ნადავლით ქართველი ჯარი, გამდიდრდა სახელმწიფო ხაზინა და ტევა აღარ იყო საქართველოში ტყვედ მოყვანილი თურქებისა; არდებილისა თურქებთანაც, რომლის დროსაც ნაცარ-ტუტი ააღინეს ქართველებმა ოსმალებს და ბოლოს გმირული შეჭრა ქართველობისა სპარსეთში მის დასაჭერად. ქართველებმა აიღეს მარანდა, თავრიზი, ყაზმინი, გურგანი და სხვა მრავალი ციხე-ქალაქი; ლაშქარს ველარა უდგებოდა რა წინ, იგი მთლად დაიპყრობდა სპარსეთს, ერთს გარემობას რომ არ ეჩინა თავი ქართველების ლაშქარში: შეუძლებელი გახდა უშველებელი ალაფის თან ტარება, ამიტომ ქართველებმა მიატოვეს სპარსეთი და უკან დაბრუნდნენ სამშობლოში.

აი, ასეთი საარაკო ძლევა მოსილობის სახელი მოუპოვა ქვეყანაში თამარ მეფემ ქართულ ფარხმალს, ასეთი გმირული სული ჩაუდგა. მან თვის ლაშქარს, ასე დააჩოქა და ქედი მოახრევინა მან თავის ტახტის წინ საქართველოს მტრებს, ასე შორს გასწია და გააფართოვა მან თვის სამფლობელოს საზღვრები!

თქვენ იტყვით თამარს არც ერთ ომიანობაში არ მიუღია პირადათ მონაწილეობა არც ერთი ომი არ უწარმოებია თავისი უმფროსობისა და პირდაპირ ხელმძღვანელობის ქვეშ, ამიტომ არც გამარჯვება მიეწერება მასო.

არა, ომს ის აწარმოებს ნამდვილათ და ის ამარცხებს მტერს, ვისთვინაც გული უცემთ მეომრებს, ვის ყურადღებისა და ალერსის ღირსად გახდომისათვის მკერდს უშვერენ ტყვიას მეომრები და განა თამარის დედობრივი მოპყრობა ლაშქარისადმი, მისი გრძნობით სავსე და ბეჯითი დარიგება, მისი უმწიკვლო ლოცვა-ვედრება ლაშქრის წინ ომის დაწყებისა და გათავების დროს, მისი გამოთხოვება ლაშქართან ჯვარით ხელში ომის ველზე გასტუმრების დროს, ის მომხიბლავი ძალა არ არის, რომელიც ამოქმედებდა ამ ლაშქარს, რომელიც განუწყვეტელად ჩასძახოდა მას ყურში; „ან გაიმარჯვე მტერზე და მით გაახარე შენი სათაყვანო დედა-მეფე, ან მისი გულისთვის მოკვდი ომის ველზეო?“ მგზავრი მშიერი არ დარჩება, თუ სახლიდგან კარგი საგძალი წაიღო და განა საეჭვო იყო, რომ ქართველები მტრებზე გაიმარჯვებდნენ, როდესაც ამ გიმარჯვებას თან ატანდა მათ თამარი თვისი ცეცხლის მომდები სიტყვებით ბ დარიგებით?!

გარეთ რომ მტრებს ზარსა სცემდა, შინ, თავისიანებს, მადლიანი დედოფალი თავს ევლებოდა და დიდსა და პატარას ყოველი საშუალებით, ყოველ გვარი ღონის ძიებით, და ხელშეწყობით ეზიდებოდა ქონებრივი, გონებრივი და ზნეობრივი წინსვლა-განვითარებაყოვავებისკენ. საქართველო, მსგავსად ბუნებისა რომელიც მაისში თბილი მზის სხივების გავლენის გამო საოცნებოთ იშლება და იფოთ-

ქება, თამარ დედოფლის მართველობის ქვეშ აყვავდა, შეიმკო, გაძლიერდა, გამდიდრდა, განვითარდა, განათლდა და ყოველნაირად გაიზარდა. იმ დროს განვითარდა ქართველებში ვაჭრობა, მრეწველობა, მეურნეობა და ხელოსნობა იმ დროს იყო, რომ საქართველო დაისერა გზატკეცილებით, მაშინ გაიმართა მდინარეებზე საოცარი სიმაგრის ხიდები, მაშინ მოირწყო და განაყოფიერდა უშველებელი არხების გაყვანის საშუალებით უდაბური ალაგები, მაშინ იყო, რომ გაზაფხულის ბალახივით იფეთქა ქართველთა გამრავლებამ და ოთხ მილიონამდე ავიდა მათი რაოდენობა, მაშინ გაჩნდნენ ახალი ქალაქები, დაბები და სოფლები, მაშინ გამრავლდა სამადლო სახლები, ქსენონები და სასწავლებლები, იმ დროინდელი ნაშთებია კლდეში გამოჭრილი ქალაქის მსგავსი ვარძიის მონასტერი, კოხტა ფითარეთი, მტკიცე და კლდესავით შეუძვრელი ქვაბთახევი, ძვირფასი გრაგნილ-ჩუქურთმებით დაფარული ბეთანიის ტაძარი და უთვალავი ციხე-კოშკები, იმ დროს გაჩნდნენ და მნათობდნენ უკვდავი შოთა რუსთაველი, ჩახრუხაძე, სარგის თმოგველი და მრავალნი მათ მსგავსნი, თამარის დროს იყო, რომ ქართველები, სოლომონ მეფის დროინდელ იუდელთა და ისრაელთა მსგავსათ „ცხოვრობდნენ უმწუხროდ თვითეული ქვეშე ვენახსა თვისსა“ (გ. მეფ. 3, 14), თამარის დროა, რომ ქართველი ერის ისტორიაში აღიარებულა ოქროსა და უმაღლესი ძლიერების ხანად.

მარტივად, მაგრამ სრული სინამდვილით გვაცნობს ძველი მემატიანე იმ ღრმა, წრფელ და მხურვალე პატივისცემას თამარისადმი, რომელითაც სუნთქვამდა ქართველი ერი რომელიც შეადგენდა დიდებული მეფე ქალის ნაცნობთა და ხელქვეითთა სულის კვეთებას. ქართველთა პირიდანო, შენიშნავს მემატიანე, მხოლოდ თამარის ქებაღა ამოდისო: მის სადიდებელ ლექსებს აწერენ სახლების კედლებზე, მისი ქება-დიდებით ამშვენებენ ძვირფას ბეჭდებს, ყავარჯენებს და დანებს, თამარს დამღერიან ყოველგან სოფლის პატარა მწყიმსები, თამარია უმთავრესი საგანი მესტვირეთა და მეჩანგეთა მუსიკობისა, თამარს უგალობენ ზღვის ზვირთებთან მბრძოლი მენავენიო და სხვ.

მაგრამ განა ეს მხოლოდ თამარის დროის ქართველებზეა სათქმელი? განა თამარის სახე როდისმე წაშლილა ქართველი ერის მეხსიერებაში? განა ყოფილა როდესმე წამი, რომ თამარის სიყვარულს ფართო ალაგი არა სჭეროდეს ქართველი ერის გულში? თამარის ქება, თამარზე მღერა მცირე ხანს მაინც შეწყვეტილიყოს ჩვენს ქვეყანაში? მიბრძანდით, თუ გნებავთ ფშავში, გაეცანით ხალხური კალენდრის შინაარს, და დარწმუნდებით, რომ ერს უმთავრესს და უბრწყინვალეს დღეობად თამრობა აქვს მიღებული, რომ მთელი თემი დღესაც თამარს ადიდებს, თამარს უგალობს, თამარზე ლექსობს, თამარით ბედნიერობს, თამარს ლოცულობს და უსასტიკეს წყევა-კრულვას უთვლის მას, ვინც თამრობას ერში მოშლის, თამარის ქებას დაივიწყებს, თამარის ხსოვნას გაიქრობს.

რა პირობამ შაქმნა თამარ მეფე ქართველი ერის სალოცავად, სულიერ საუნჯედ და შვების წყაროდ? რამ დააუფლა იგი სამარადისოდ ქართველი ხალხის გულსა და გონებაზე?

—მისმა მაღალმა ჭკუამ. სიბრძნემ და გამჭრიგხობამ, ბძანებთ თქვენ.

ოღონდაც რომ თამარი გონების მხრივ იშვიათ მოვლენას შეადგენდა, მართლა რომ მას ჭკუით ბადალი არ ჰყავდა არც თანამედროვე მეფეთა და არც ქვეშევრდომთა შორის, სწორეთ რომ სიბრძნით ისე მაღლობდა ყველას, როგორც სწორი ალვის ხე ასკილის ბუჩქს.

მაგრამ საქმე მთლად ამაში როდია. მსოფლიო ისტორია სხვებსაც ბევრს იცნობს თამარ დედოფლისთანა მაღალი ჭკუის პატრონებს და მასზე დიდ გენიოსებსაც, გარნა იშვიათია, რომ ვინმე მათგანი ჩასწდომოდეს ერს ისე ღრმად გულში, როგორც თამარი, იშვიათია, რომ სხვას ვისმეს გაეთბოს ერის გულის ყველა კუნჭულები ისეთი ნაზი და დამატკბეებელი თანაგრძნობით, როგორც

თამარ მეფეს. შესანიშნი გმირები და სახელოვანი მეფეები მომეტებულ ნაწილად შოულობდნენ ხალხის მორჩილებას და ერთგულებას ხასიათის სიმკაცრისა, ფიზიკური სიმძლავრის მეოხებით და არა ლმობიერებით, როგორც თამარი, არა სხვათა ღირსების დაფასებით, არა იმ სულიერი ძალის მეოხებით, რომელსაც სიყვარულს ვეძახით, რომელიც მოციქულის სიტყვით, სულგრძელ არს და ტკბილ, რომელიც არა ეძიებნ თავისასა, ყოველსა თავს იდებნ, ყოველსა მოითმენნ (ა კორ. 13, 4—7), ცხოველი ღვთის, ცხოველი სიტყვისადმი სრული და სავსებითი ერთგულება, სამსახური, ქრისტეს მმოსაობა—აი, რამ დააუფლა თამარ მეფე ქართველთა ერის გულს, რამ გაასხივოსა იგი ქართველთა წარმოდგენაში, რამ მიანიჭა მას ისეთი სასწაულებრივი შინაგანი ძალი და გარეგნული გამომეტყველება, რომ არამც თუ ადმიანებს, ნადირებსაც კი უხაროდათ მისი ხელქვეითობა და მორჩილება. შეიძლება, მეტად გადაჭარბებული, შეიძლება, სულაც ზღაპარი იყოს შემდეგი თქმულება თამარის ლომზე, მაგრამ ჩვენთვის მაინც დიდათ საგულისხმოა იგი, როგორც ხალხის შეხედულობის გამომსახველი თამარ მეფის სულიერი გავლენის სიმძლავრეზე. ერთმა კარგმა ნაცნობმა თამარ დედოფალს საჩუქრად მიართვა ლომის ლეკვი. ეს ლეკვი ისეთი საშინელი შეიქმნა და იმხელა გაიზარდა, რომ მისი მსგავსი არც შინაურ და არც ველურ ლომთა შორის კაცისაგან არა ნახულა. მემატიანე აღნიშნავს, რომ თუ კი დარბაზში მოიყვანდნენ, შეუძლებელი იყო, რომ ლომი ვისმეს დაეკავებინა, ვისმეს დაება და თამართან არ მიეშვა, იგი ყველაფერს დალეწავდა, ყველა დაბრკოლებას სძლევდა, უსათუოდ მივიდოდა თამართან, თავს ჩაუდებდა უბეში და რაღაცა მორიდებით დაუწყებდა ლოშნას. როდესაც მეფის ბრძანებით მოაშორებდნენ და მაგარი ჯაჭვებით დაბამდნენ, ლომი იწყებდა ნაკადულივით ცრემლთა ფრთქვევას და დიდათ შეწუხებული გამოიყურებოდაო. თამარი ცხოვრობდა იმისთვის, რომ სხვებისთვის ბედნიერება მიენიჭებინა, იგი ღამეებს თეთრად ათენებდა, რომ მეტი ტანთსაცმელი დაემზადებინა ობლებისა და ღარიბებისათვისს დღიური საზრდოს ფასს თავისი ხელთნასაქმის გაყიდვით შოულობდა, რომ სახელმწიფო ხაზინიდამ მეტი მოწყალება გაეღო გაჭირვებულებზე, ავადშყოფებს ხშირად თითონ ნახულობდა, თითონ ემსახურებოდა, თითონ უსწორებდა მათ ლოგინს, სიცოცხლეს აღლევდა საქვეყნო საქმეებს და მხოლოდ ქყეყნის ბედნიერება, ქვეყნის სიკეთე შეადგენდა მის პირად ბედნიერებას და სიხარულს. ვიმეორებ: ქრისტეანულმა ლმობიერებამ, ქრისტეს მცნებათა თან შეხამემულმა ცხოვრებამ შემოსა თამარი ერის თვალში წმინდანის შარავანდედით, ქრისტეს მცნებათა მიმდევრობამ გახადა იგი დიდისა და პატარასთვის სათაყვენებელ პირად, ქრისტეს მოძღვრების თანახმად წარმოებულმა გამგეობამ შეაძლებინა მას საქართველოს ამაღლება, გაძლიერება და ყოველ მხრივად განვითარება—წინ წაწევა.

თქვენთვისაა განსაკუთრებით საგულისხმო და საყურაღღებო, ქართველო დედებო და ასულებო, თამარ მეფის პიროვნება, ყველაზე მახლობლათ თქვენ სდგეხართ მასთან და ამიტომ ყველაზე მეტად თქვენ უნდა განიცდიდეთ მის სიკეთეს, მისგან გამომავალ აღმაფრთოვანებელ სულიერ სითბოს, ადამიანთა გამაკეთილშობილებელ შინაგან ძალას.

თუ თქვენთვის ღირებულებას მოკლებული არ არის თქვენი სამშობლოს აღდგენა-გაძლიერება, თქვენი მშობელი ერის განათლება და ბედნიერება, მოსვენებას არ უნდა გაძლევდეთ თამარ დედოფლის აჩრდილი. თქვენც მის მსგავსად დღე და ღამეს უნდა ასწორებდეთ საშობლოს სამსახურისათვის, პირიდან ლუკმას უნდა იღებდეთ მოყვასთა საშველავათოდ, მტლედ და წამლად უნდა ედებოდეთ გაჭირვებულ თანამემამულეებს, თქვენი ლმობიერი საქციელით უნდა სპობდეთ ცხოვრებაში ფესვ გადგმულ ერთი მეორის მტრობას და სიძულვილს, თქვენ უნდა უმზადებდეთ სამშობლოს ნაკურთხ ნიადაგს შოთა და ჩახრუხაძეების

მსგავსი პირების წარმოსაშობად, მედგრად უნდა ებრძოდეთ ყველაფერს, რაც კი ხალხს აკავებს სიბნელეში და უმეცრებაში, ფასს უკარგავს ქვეყნის თვალში ქართველის სახელს და ბოლოს ერთი წამითაც არ უნდა ურიგდებოდეთ თქვენი სამშობლოს ვისგანმე დაჩაგვრას. ამას შეგაძლებინებთ, ამისი შესრულების სულს ჩაგბერავთ იგივე გულმხურვალება და გამსჭვალვა ქრისტეს პიროვნებისადმი მხურვალე სიყვარულით, რომლითაც აღტურვილი იყო საქართველოს დედა უკვდავი თამარ მეფე. გწამდეთ: საქართველოს ბედი ქრისტეს მმოსავი თამარის მიმბაძავ დედათა ხელშია და არა ბებელის იდეალის ქალისაში.

დედაო თამარ, გაგვინათლე გონება და ცხოვრების გზა შენგან შეყვარებული ქრისტეს ნათელით! ამინ.

თამარის ქვეყანა.

დღეს ქართველი ხალხი იხსენებს იმ ქალის სახელს, რომელთანაც შეერთებულია მშვენიერება, კულტურა და ძლიერება საქართველოს წარსულისა.

იშვიათია ისტორიაში ისეთი მაგალითი, რომ საუკუნეთა განმავლობაში ვისმეს, და მეტადრე ქალს, ასე ხანგრძლივ შეენახოს სიჟაბუკე ხსენებისა.

ჯოჯოხეთზე ამბობენ—ავ სურვილებით არის სავსეო. საქართველო მარტო თამარით არის აღსავსე.

აქ სუყველაფერი თამარისაა!

მაზედ ლაპარაკობენ ადამიანები, ქვები, მოგონებანი! ყველაფერს მისი სახელი ჰქვიან:

მთას, ველს, არხს, ეკლესიას, ციხეს. ქალებზედ აღარას ვიტყვი!

ხუთ ქართველ ქალში სამი—თამარია!

მხოლოდ ერთი მამაკაცები არიან დასჯილნი, რომ თამარს არ არქმევენ.

— როდის ცხოვრობდა?

ღმერთმა უწყის! „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“. მაგრამ საუკუნეთა ამ წარსულიდან იგი ისე გვიცქერის, როგორც და ჩვენის სიყვარულისა, როგორც ნათესავი ჩვენის სულისა!

— სად სცხოვრობდა?

— აი, აქ!

— ნუ თუ აქ, ამ ყინულიან სვანეთში?

— დიახ!

— ნუ თუ აქ -ხევსურეთში, ჯიხვებისა და არჩევების ქვეყანაში?

— დიახ!

— ამ კოშკში, ამ ციხე-დარბაზში?

— დიხ!

დარიალის ხეობაში ფრიალო კლდეზე კოშკია. იქ სცხოვრობდა თამარ-მეფე! სად არ სცხოვრობდა!

საქართველო ქვეყანაა მაღალის მთებისა. ზოგიერთებზე არწივები თუ აფრინდებიან.

მაგრამ თამარი ყველგან ადიოდა, ყველგან ჩადიოდა!

ჩვენი სოფლის ახლოს პატარა ტყე არის, პატარა გამოქვაბულით.

ადგილი უცნობია, არ იხსენიება ბატონიშვილი ვახუშტის გეოგრაფიაშიც კი.

ნამდვილათ კი ამ გამოქვაბულში თამარ დედოფალი სცხოვრობდა!

წავიდეთ!

ვიტყვით სოფლის პატარა ბავშები.

და დაღლილ დაქანცული გამოქვაბულთან ვბანკდებოდით.

ვბრუნდებოდით ხახა მშარლი!

— რასა ბრძანებთ, სად შეგვეძლო იმ გამოქვაბულში შესვლა, განა ჩვენ თამარ ოედოფლები ვიყავით!

რას აკეთებდა ქალი-საკვირველება?

— ყველაფერს!

დიდუბეში იქორწინა, სადაც რომ საყდარი არი!

მერე ზღვაში ჩაუშვა ხომალდი, ზედ ალმასები დაჭკიდა, შიგ ჩასხა ქართველთ ლაშქარი, მრავალს წყალობას დაჰპირდა!

დაამარცხა სულთანი!

დაამარცხა შაჰი!

ააშენა, მაგრამ რა არ ააშენა!?

მან ააშენა ყველა ის ციხე დარბაზები, რომელშიაც ის „სცხოვრობდა“.

ყველა ის ეკლესიები და მონასტრები, სადაც ის „დამარხულია“;

გამოქვაბა ყველა ის გამოქვაბულები, სადაც ის „ადიოდა“.

ბაზალეთში ოქროს აკვანი დასდგა და მერე თავის ხალხთან ერთად იმდენი იტირა, რომ ცრემლისაგან ტბა დადგა.

მან „უბძანა“ და შოთა რუსთაველმა „ვეფხის ტყაოსანი“ დასწერა!

ჩახრუხაძემ—ხოტბა დასწერა.

ბრძანა და „თამარის დროშა გაშალეს“.

ვინ არ იყო ამ დროშის ქვეშ?

მკლავით ძლიერი ქართველი, კახი ფარშუბით, თუში ხმლით, ფშავ ხევსურს შვენის აბჯარი, გმირი იმერი-ზრდილობით, გურული, მეგრი მკვირცხლობით!

და დასასრულს:

— ამდენი საქმის მომქმედმა ცხრა ადლი ტილო წაიღო!

მოკვდა—მაგრამ სად? მთელ საქართველოში!

როცა შოპენი მოკვდა სულ უკანასკნელი ასი ქალი მაინც ამბობდა ევროპაში:

— აი, ზედ ამ მკლავზედ დალია სული დიდებულმა ხელოვანმაო!

ჰკითხეთ ახლა—მაგრამ არა ქალებს—ჰკითხეთ ეკლესიებს, მონასტრებს, ციხე-კოშკებს, გამოქვაბულებს:

— სად მარხია ქალი—საკვირველება, რომელსაც ჰქვიან თამარ?

და ყველასაგან ერთს პასუხს მიიღებთ:

— აქ!

— სად?

— აი, აქ! ამ ეკლესიაში, ამ მონასტერში, ამ გამოქვაბულში! ყველგან!

რა ვრცელი სასაფლაოა, რა ვრცელი აკალდამაა!

ფარსმან ფარუხი.

თამარის დღე.

პირველი მაისი საქართველოში თამარის დღეა, საქართველოს დიდებული დედოფლის გახსენება დღესასწაულია ქართული კულტურისა და ეროვნულ შეგნებისა. თამარის დროიყო, რომ საქართველო გაერთიანდა, თამარის დროიყო, რომ საქართველო კულტურულად აყვავდა. ამიტომ ჩვენ „ოქროს ეპოქას“ დიდი სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს, არასოდეს ძველ საქართველოში ძლიერება არ მისულა იმ ხარისხამდი, განათლება იმ სიმაღლემდი, ხელოვნება და ლიტერატურა იმ უმწვერვალესობამდი, როგორც თამარ მეფის დროს. ეთნოგრაფიული საქართველო მუდამ არსებობდა, მაგრამ ჩვენს ისტორიას ძალიან ნაკლებ ახსოვს პოლიტიკური საქართველო. მხოლოდ ამ ადამიანის დროს განმტკიცდა პოლიტიკური საქართველო, აღარ იყო ქართლი და კახეთი, გურია და სამეგრელო. იმერეთი და აფხაზეთი. იყო მარტოოდენ ერთი ქართველი ერი, ერთის პოლიტიკურის წესწყობილებით, ერთის სახელმწიფო და კულტურულ ეროვნულ მიზნებით. ქართული ხალხის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებაში სწორედ ეს ხანა იყო ყველაზედ უძვირფასესი.

რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს თანამედროვე ქართველობისთვის ამ ეპოქის ხსენებას? რაღას გვეტყვიან ჩვენ ახლა ისინი, რომელთა სახეც უკვე საუკუნოებმა დაჩრდილეს, რომელთა საქმეც მკვდარია? რა აქვს საერთო თანამედროვე საქართველოს მეთორმეტე საუკუნის საქართველოსთან, საქართველოსთან მეფეებისა და დიდებულ დედოფლისა, როცა აზრთა ქროლა ეხლა სხვანაირია, როცა ქვეყანა გადემოკრატიულდა და როცა საქართველოს წარსულიდან ყველაფრის გახსენება შეიძლება, მაგრამ არა იმისა, რაც უფრო მეტად ახასიათებდა მას, რაც იყო მუდამ ემბლემა მის თვით-არსებობისა! ასეთი მოგონების შესაძლებლობა არ არსებობს. ჩვენ იგი ან უკვე გავიარეთ სამუდამოთ, ან ჯერ არ მივსულვართ მის შეგნებამდე. მაგრამ, მიუხედავათ

ამისა, დღევანდელ დღეს ჩვენ კვლავ ვიგონებთ იმ დროს, რომელიც ჩვენგან შვიდასი წლით არის დაშორებული და ეს ჩვენს უნებურად ხდება. ამას ჩადის კულტურა, მთელი ქართული კულტურ.! ეს კულტურა რომ არ ყოფილიყო, საზოგადოთ, არ იქნებოდა კავშირი საუკუნეთა შორის. მაგრამ მან ისეთის ჯაჭვებით შებოჭა ისინი, ისეთნაირად გადაება ერთმანეთს, რომ ახლა, როცა ჩვენ, თანამედროვეთ ამ საუკუნეთა ჯაჭვის უკანასკნელი რგოლი გვიჭირავს ხელში, ინსტიკტიურად ვგრძნობთ, სად არის ყველაზე უფრო მტკიცე, მაგარი რგოლი ამ ჯაჭვისა.

თამარის ხანა სწორედ ეს მტკიცე და მაგარი რგოლია ქართული კულტურის ჯაჭვისა. აი რათა ვართ მოვალენი გავიხსენოთ დღეს დიდებული ქართველი ქალი თამარი, რომელიც ბედმა მეფედ გახადა, ეკლესიამ წმინდანად და ხალხმა უკვდავად!

გაზ. „იმერეთი“

წმ. თამარ მეფის დღესასწაული თფილისში.

1 მაისს დიდუბის ეკლესიამ, სადაც ასვენია წმ. თამარ მეფის ძვირფასი ხატი, დიდის ამბით გადაიხადა წმ. თამარის დღესასწაული. წინა დღითვე ეკლესიას აუარებელი ხალხი მიაწყდა და ლოცვის შემდეგ კიდევ დიდხანს დარჩა ეკლესიის გალავანში. იყვნენ ღამის მთეველნიც. შუაღამემდე არ შეწყვეტილა სხვადასხვა სიმღერა: „წაიყვანეს თამარ ქალი“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ და სხვა. თვით დღესასწაულის დღეს, ეკლესიაში ქართული სამღვდელმთავარო წირვა იყო საქართველოს ეგზარხოსის ალექსის განკარგულებით, რომელმაც ამ დღისთვის დანიშნული სასინოდო კანტორის კრება სხვა დროისთვის გადასდო და წირვის შესასრულებლად ეკლესიაში გამოჰგზავნა გორის ეპისკოპოსი ანტონი. წირვა დაიწყო დილის 10 ს. მწირველი იყო გორის ეპისკოპოსი ანტონი ქალაქის ქართველ სამღვდელოების თანამწირველობით. შუადღის 12 საათზე ყოვლად სამღვდელო ანტონიმ პარაკლისი გადიხადა. წირვის დროს, „განიცადეზე“ დიდუბის ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა ი. მირიანაშვილმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. წირვის შემდეგ ყოვლად სამღვდელო ანტონიმ ხალხს მხურვალე სიტყვით მიმართა და საქართველოს ეგზარხოსის ალექსის სახელით (ეგზარხოსის დავალებით) მიულოცა ეს ბედნიერი დღე. როგორც წინა დღით, ლოცვაზე ისე წირვასა და პარაკლისზე, გალობდა ფილარმონიულ საზოგადოების ხორო ზ. ჩხიკვაძის ლოტბარობით. აუარებელი ხალხი ნაშუადღევის 4 საათამდე არ დაშლილა და ამ ხნის განმავლობაში დაუსრულებლად გაისმოდა მშვენიერი ქართული სიმღერები.

„სახ. გაზეთი“

ქართული პრესა და სამღვდელოება.

გაზ. „იმერეთის“ მარტის ერთ ნომერში ბ. „Pater loci“ სამღვდლოების უკანასკელ კრებას უწუნებს მსჯელობას, რომ ერისკაცებიც მონაწილეობას ღებულობდენ სასულიერო სასწავლებლის საოჯახო ხარჯებში, რომელიც დღეს ეთხოვება სამღვდელოებას. ბ. Pater loci-ის აზრით რადგან სასულიერო სასწავლებლის შენახვა (მასწავლებლების ჯამაგირი და ისიც სანახევროთ) ხაზინამ იტვირთა და სამღვდელოებას მხოლოდ სასწავლებლის შენობის შენახვა და ზოგიერთი წვრილმალი ხარჯი ევალება, ამიტომ საერო წოდების ბავშებს აღარ უნდა დაედოს გადასახადი მით უმეტეს, რომ სანთლის შემოსავალი, რომელსაც ხალხი ასაღებს, სამღვდელოების ხელშიაო. ასეთ მსჯელობაში ნაკლებათ არის საღი ლოგიკური შეხედულება საქმეზე. ბ. Pater loci-ის ანგარიშს რომ გავყვეთ სამღვდელოება ვალდებულია საერო წოდებას თავის ხარჯით ასწავლოს, რადგან უმთავრესი წყარო ცხოვრებისა ხალხისგან ეძლევა; მთავრობამაც უნდა მოსპოს თავის შკოლებში ყოველგვარი გადასახადი, რადგან მისი შემოსავლის წყაროც ხალხია, ე. ი. ჩვენ ყველა. მართალია, სამღვდელოება, როგორც ასეთი, ზნეობრივად ვალდებულია სხვაზე უფრო

მეტი გულკეთილობა გამოიჩინოს, მაგრამ ესეც ხომ საშვალებაზე ჰკიდია. ჩვენის აზრით სამ ღვდელოება შეძლებისადაგვარად დღემდისაც დიდ გულკეთილობას იჩენდა საერო წოდების შვილებისადმი, რადგან სამი-ოთხი , თუმნით ნაკლებს ახდევინებდა და ახდევინებს, ვინემ საერო სასწავლებლებში. ქალების გემნაზიაში 8—10 თუმანია გადასახადი, ჩვენ ეპარქიალურ სასწავლებელში კი 4—5; ვაჟების გემნაზიაში ამდენიკე გადასახადია სას. სასწ. კი მხოლოდ 4 თუმანი იყო დღემდის.

რაც შეეხება სანთლის შემოსავალს, სამღვდელოებას აქედგან კაპეიკი არ გააქვს თავის საკუთრებათ და მთელი შემოსავალი საეპარხიო და სასულიერო სასწვლებლების საჭიროებას ხმარდება, და თუ ეს შემოსავალი ქვეყანას ააშენებს, ეჭვი არა გვაქვს, სამღვდელოება დიდის სიამოვნებით და სიხარულითაც დაუთმობს მას ქვეყანას. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ სანთლის შემოსავალი ვერ აკმაყოფილებს სასწავლებლებს და ამიტომაც სამღვდელოებას მოსთხოვეს თქვენი ჯიბიდან ამოიღეთ და ისე დაფარეთ საჭირო ხარჯებიო. სინოდის გადაწყვეტილებაც, ყოვლად შეუწყნარებელია, რადგან ხარჯი მარტო საღვდელოებისათვის დაუვალებია. ვკითხავთ ბატ. Pater loci-ის საღ მსჯელობას, რა არის დასაწუნარი სამღვდელოების კრების მსჯელობაში? განა კანონიერი არ არის, რომ საერო წოდებაც შემოგვიდგეს საჭირო ხარჯებში? განა სამღვდელოების ტყავზე, მის ცალიერ ჯიბაზე არ კმარა ის, რაც ჰქნა? გააშენა ორი ვეებერთელა სასწავლებელი და ერთი მათგანი უზრუნველყო სამოციათასიან თანხით? რომელმა წოდებამ შექმნა ასეთი დაწესებულებები ჩვენში, გვითხარით? საღვდელოება დღეს დაბალ ღობედ შეიქმნა და ყოველი კაცი თავზე ახტება; იგი დღეს ის ავათმყოფი ლომია, რომელსაც ყოველი დიდყურა ტლინკავს და ამაყობს: „ერთი წიხლი მეც მივაყოლე ამ ცხოველების მეფესო.“ ასე მოსდის ბ. Pater loci -საც. მაინც-დამაინც მასაც სურს ერთი წიხლი მიაყოლოს საცოდავ საღვდელოებას, რომელსაც არაფერს აძლევენ და ბევრს კი სთხოვენ.

მეორე წიხლს ბ. მ. ფარცხნალელი ურტყამს სამღვდელოების იმავე გაზეთის № 21-ში. ურტყამს, მაგრამ არა როგორც ავათმყოფ ლომს, არამედ როგორც მუხის ძირში მწოლარე ცხოველს, ე. ი მდაბიოთ რომ ვსთქვათ, ღორს. ბ. ფარცხნალელი შენიშნავს, რომ სამღვდელოება ნაკლებათ აქცევს ყურადღებას ხალხის გათვითცნობიერებას და სამშობლოსადმი სიყვარულის განმტკიცებას და ეს იმით მოსდის მას, რომ გონებრივი შრომა ეზარებაო. მწარე სიმართლეს მოგვითხრობს ბ. ფარცხნალელი. მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რაც არ დაგვითესია, რა უნდა მოვიმკოთ? ვარდი ვინ ნახა ნარზე? დღევანდელი სამღვდელოება სულით დაცემული ხალხის შვილია, იმ ხალხის, რომელიც ერთ მთლიანს არ წარმოადგენს თავის მისწრაფების ინტერესებით, იმ ხალხის, რომლის შვილები ამ სოციალიზმის ქადაგების ხანაში უფრო და უფრო მიძვრებიან თავის ტყავში, თავის პირად ცხოვრებაში. არავითარი საერთო საქმე არ აკავშირებს დღეს არც ინტელიგენტს და არც მასსას; თუ ხანდიხან ვხვდებით საერთო აზრით შეფაფულ ჯგუფებს, ეს მხოლოდ წუთიერი მოვლენაა, რომელიც ხვალ ათას სხვადასხვა სახეს მიიღებს და უმნიშვნელოთ გაითქვიფება უსაზღვრო სივრცეში. დღევანდელი აზროვნება და მიმართულება კალეიდეკოპივით ცვალებადია. ეროვნული იდეალებით გამსჭვალულ პირებს არათუ სამღვდელოებაში, ინტელიგენციაშიდაც ძალიან მცირეს ვხედავთ. ამის ცხადი დამამტკიცებელი საბუთი ის გახლავსთ, რომ დღეს ჩვენში არ არსებობს არც ერთი სპეციალურად ეროვნული გამოცემა. არსებულ გამოცემებში თვით უკიდურესი ნაციონალისტებიც კი რაღაც მორცხობენ ეროუნულ საკითხებში, თითქო ვიღაცას ერიდებიან, ეხათრებიან, მაშინ როდესაც უცხო ერებში ასეთ მორიდებას, მოხათრებას ვერ ვამჩნევთ, წინააღმდეგ მათ შოვინისტობისაც კი არ სცხვენიათ. ამიტომ, ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნებოდა, რომ ბ. ფარცხნალელს ერთი წიხლი ჩვენი ბაქია ინტელიგენციისთვისაც მიეხვია.

ღია წერილი სამღვდელოებისადმი.

წ. თამარ მეფის ხსოვნის აღნიშვნის გამო.

ქართველთა მიძინებულმა ეროვნულმა გრძნობამ გაიღვიძა და მეხსიერების სამფლობელოდან მკვდრეთით აღადგინა ძველ მეფეთა, სარდალთა და საზოგადო მოღვაწეთა ნათელი სახე. სარწმუნოების და ზნეობის მხარეში მოღვაწენიც კი ეროვნულ სათაყვანებელ გმირებად გადიქცენ. ასეთ გრძნობათა აღორძინების დროს, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი დაიჭირა მოჩვენება ქალის, მზეთა-მზის თამარ მეფის ნათელმა პიროვნებამ. თუმცა ხსოვნა ამ ზნეობის და სარწმუნოების მაგალით ქალისა არასოდეს არ დაუვიწყნია ქართულ ეკლესიას, მაგრამ სამღვდელოება, როგორც პირწავარდნილი შვილი თავის ეროვნებისა, დღემდის არაფრით არ განასხვავებდა ამ ხსოვნას და პირველი მაისი ისეთივე მივიწყებული ქონდა მას, როგორც საერო წოდებას. დღეიდგან ხალხის, და თვით ჩვენმა, გაღვიძებულმა ეროვნულმა გრძნობამ უნდა გვაიძულოს შესაფერი პატივისცემით განვასხვავოთ ეს დღე, როგორც ჩვენი ეროვნულ-სარწმუნოებრივი დღესასწაული. შესაფერი წირვა-ლოცვა, შესაფერი მოძღვრება-დარიგება, სამრევლოებში თამარის სახელობაზე სხვა და სხვა სამკითხველოებისა და საქველმოქმედო დაწესებულების დაარსება—აი რაში უნდა გამოიხატოს ჩვენი უღრმესი პატივისცემა თამარისადმი, რომელმაც ჯერ ქვეყნად გვადიდა და შემდეგ ზეცას ღვთის წინაშე მეოხად გაგვიხდა.

მგონი მოგტყუვდით!

ჩვენი გამოცემის მეორე ნომერში მოვათავსეთ ბ. იმერლის წერილი, რომელშიაც დიდათ ნაქებია მათხოჯის მონასტრის მოძღვარი მ. დავით ჯინჭარაძე. სხვათა შორის ბ. იმერელი სწერს: „ბევრჯერ გამოვლაპარაკებივარ მონაზვნებს, მსურდა გამეგო, თუ რამდენათ ღრმა და შეგნებული სარწმუნოებისანი იყვნენ და ყოველთვის გავკვირვებულვარ მათი პასუხებით. ყველა ამაში, რასაკვირველია, მადლობის ღირსია პატივცემული მღ. მ. დ. ჯინჭარაძე, რომელმაც ასე გაწვრთვნა ისინი.“ თუ ეს ქებათა ქება მართალია, რას ნიშნავს მოლაზვნების ფერუმარული და შანტეკლერის კაბები, რაზედაც ლაღადებს გაზ. აზრის კორესპონდენტი ბ. სილ. რ. ლორთქიფანიძე და თუ ბ. ლორთქიფანიძის ლაღადება ტყუილია, რათ სდუმს მ. ჯინჭარაშვილი? რათ არ ესარჩლება თავის სულიერ შვილებს? რათ არ იცავს მონასტრის ავტორიტეტს? გვაკვირვებს მისი სიჩუმე და მზადა ვართ შევინანოთ და საზოგადოების წინაშე ბოდიში მოვიხადოთ მოტყუებისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ იმედს არ ვკარგავთ, რომ მ. ჯინჭარაძე ბოლოს ამოიღებს ხმას და დაიცავს მონასტრის სახელს.

თავისი მხრით რედაქცია პასუხს გასცემს ცრუ კორესპონდენტს შემდეგ ნომერში. რედ.

კანონი არსებობისა არის შრომა. რაზედაც დამოკიდებულია როგორც კერძო ადამიანთა, ისე საზოგადოების კეთილდღეობა.

(სამაილსი, ბეკონი, სმიტი)

ადვილათ შეიძლება ამ წერილის სათაურის წაკითხვისათანავე ზოგიერთ მკითხველს თავში გაუელვოს კითხვამ: ნუ თუ ჩვენი მკვირცხლი ქართველი ხალხი საჭიროებს შრომის მნიშვნელობის ახსნა-განმარტებას და შრომაზე წაქეზებას? მე ასეთ კითხვაზე უნდა მიუგო: დიაღ, ჩვენ ხალხს არც შრომის მნიშვნელობა აქვს ჯეროვნად შეგნებული და არც შრომისმოყვარეობა შესისხლხორცებული, თორემ ის არც ასე გაღატაკებული იქნებოდა. რომ ჩვენი ხა-

ლხი შრომის მოყვარე არ არის და მისი სიღა-ტაკის მიზეზი მისივე სიზარმაცე და სხვა ბევრი მავნე ჩვეულებებია, ეს დაამტკიცა ამას წინეთ ბატონმა ტ. ჯაფარიძემ გაზ. „კოლხიდაში“ მოთავსებულ ფელეტონებში. თუმცა ჩვენი ხალხი ასე თუ ისე შრომობს და, როგორც რუსულათ ითქმის, მიათრევს თავის საბრალო არსებობას, მაგრამ ამ ხალხში, როგორც სკაში ონავარი ფუტკარი, ისეა გამრავლებული უქმათ მოხეტიალე ადამიანები, თუ შეიძლება ადამიანები ვუწოდოთ მათ. მე ასეთი ვიტბატონები მყავს სახეში და ამ წერილს რომელიც დაფუძნებულია სხვადასხვა გამოჩენილ პირთა აზრზე, მათ მიუძღვნი.

შრომა კანონია არსებობისა, ის უპირველესი საშვალებაა გონებრივათ და ქონებრივათ გაღონიერებისა-ამბობს სმაილსი. უმეტესობისათვის მიუცილებელი და საარსებო საქმე უბრალო ხელით მუშაობა არის, მაგრამ როგორიც უნდა იყოს შრომა, ის ყველასთვის სავალდებულოა, ვისაც უნდა ცხოვრებაში ნანდვილი სიამოვნება ნახოს. შრომა შეიძლება საძნელოთ და სასჯელათაც მოგვეჩვენოს, მაგრამ სამაგიეროთ ის შეგვძენს სახსარს არსებობისას და მოგვიპოებს საზოგადოებაში პატივს. უშრომლათ არაფერი არ კეთდება. როგორც კერძო ადამიანთა კეთილწარმატება, ისე საზოგადოების ნივთიერ-გონებრივათ გაღონიერებაც ნაყოფია შრომისა. რომ რითიმე შეიძლებოდეს ერთბაშათ შრომის მოსპობაო, ამბობს ერთი მეცნიერი მას მიუცილებლათ თან მოყვება ჯერ ზნეობრივი სიკვდილი და მერე მთლათ გადაშენება კაცთა ნათესავისა. უქმათ ყოფნა დიდი უბედურებაა ადამიანისათვის, რადგან ის ისე აფუჭებს და ღრღნის კაცის გულს, როგორც ჟანგი რკინას. ძველი რომის ერთმა მეფემ სიკვდილის წინ ანდერძათ დაუდვა თავის ჯარის კაცებს„ ჩვენ უნდა ვშრომობდეთ“. მართლაც არაფერს ისე ხელი არ შეუწყვია რომის იმპერიის გაძლიერებისა და იქაურ ჯარის უფროსთა სახელის მოხვეჭისათვის, როგორც მათსავე მუდმივს და დაუზარელ შრომას. „კაცის ბუნებაში არც კი უნდა იყოს მეორე ისეთი დამღუპველი მიდრეკილება, ამბობს ბეკონი, როგორიც სიზარმაცე და ამიტომ მასთან ენერგიულათ შებრძოლებაა საჭირო“. „სიზარმაცე, სმაილსის სიტყვით, დამღუპველი და დამამცირებელია, როგორც კერძო პირებისა, ისე საზოგადოებისათვის. სიზარმაცეს არასოდეს არაფერი გაუკეთებია და ვერც გააკეთებს; მას ყოველთვის თან დასდევს უიღბლობა და საქმეში გაუმარჯვებლობა. ზარმაცები ყველასთვის უსარგებლონი, უბედურნი და უკმაყოფილონი არიან“. „ჭეშმარიტი ნეტარებაო —ამბობს ბეკონი— ნიჭთა დაჩლუნგებაში კი არა, მათ მოქმედობასა და კეთილათ მოხმარებაში მდგომარეობს‘‘. კაცს ქენჯნის და აფუჭებს უმოქმედობა და არა შრომა, რომლისაგანაც წარმომდინარეობს სიცოცხლე, სიმრთელე, ბედნიერება და კმაყოფილება. აი ამიტომ გონიერი მკურნალები ხშირათ შრომას თვლიან საუკეთეო სამკურნალო საშვალებათ საუბედუროთ, ზარმაცს ბევრი თავის გასამართლებელი საბუთი აქვს; კაცი ზარმაცი, თუმცა შრომას უგულოთ კიდია, სამაგიეროთ დახელოვნებული სოფისტია თავის სიზარმაცის გამართლებაში. მას ვერ შეუგნია, რომ უშრომლათ სხვისი ნაოფლარის ჭამა ნიშანია ხასიათის სისუსტისა და უპატიოსნებისა. შრომა წინ უნდა უძღოდეს მოსვენებას და უკანვე უნდა მიყვებოდეს მას. იმ მოსვენებას, რომელსაც წინ შრომა არ მიუძღოდა, არ შეუძლია აგრძნობინოს სიამოვნება ნანდვილ ადამიანს. ცხოვრება ჯოჯოხეთათ უნდა მოეჩვენოს ზარმაცს, რომელსაც გასაკეთებელი საქმე ბევრი აქვს და არაფერს არ აკეთებს. სადღაც ამომიკითხავს, ერთმა სიზარმაცისაგან წამხდარმა მათხოვარმა, რომელიც ძლიერ გვიან გონს მოვიდა, მარჯვენა ხელზე ამოიჭრა სიტყვები: „წასრულში მოვტყუვდი, აწმყო მტანჯავს და მომავალი შემაძრწუნებს“. ეს სიტყვები ჭეშმარიტათ ხსოვნიდამ განუშორებელი უნდა ქონდეს ყოველ ზარმაც კაცს. შრომა სავალდებულოა ყოველი წოდებისა და მდგომარეობის ადამიანისათვის. ბუნებით კეთილშობილსა და გონებით განათლებულ ადამიანს, რაც უნდა მდი-

დარი იყოს, არ შეუძლია კმაყოფილი იქნეს მარტო ჩაცმა დახურვით სმა-ჭამით და საზოგადოთ სხვისი ნაშრომით სარგებლობით, თუ სამაგიერო არ მიუზღო რითიმე იმავე მარჩენელ საზოგადოებას. პატიოსანსა და მაღალი ზნეობის პიროვნებას წარმოდგენაც კი აღაშფოთებს იმისი, რომ ის ლხინში მონაწილეობის მისაღებათ სხვებთან ერთათ მზა სუფრას მიუჯდეს და ბოლოს არხეინათ გზას გაუდგეს ხვედრი ფულის გადაუხდელათ. თუმცა მდაბალი სულისა და იწრო შეხედულების პირები სრულებით არ ირცხვიან და ძლიერ კმაყოფილნიც არიან სხვისი ნაოფლარის შექცევით, სამაგიეროთ კეთილშობილური ხასიათის პატრონები მუდამ გრძნობენ ასეთი მდგომარეობის უკანონობას უპატიოსნებას სულ უბრალო მოსაზრებითაც კი, როგორცაა მარტო პირადი სიამოვნება, შრომა მიუცილებელია, რადგან, ვინც არ შრომობს, მას არ შეუძლია და არც უფლება აქვს შრომის ნაყოფით დატკბეს. ბრავის არ შეუძლია სიზარმაცე გაამართლოს იმით, რომ ის სხეულის მომქანცველია, რადგან გონიერი შრომისაგან უფრო ბევრი მსხვერპლი სიზარმაცეს, უგუნურებას და თავაშვებულებას ეწირება. შრომის მსხვერპლი კაცი ძლიერ იშვიათად ხდება და ისიც შრომასა და დასვენების შორის დროს განაწილებისა და უბრალო ჰგიენური პირობების უცოდინარობისა გამო. ადამიანის სიცოცხლის გასაზომათ გავლილ წელთა რაოდენობა კი არა, მისგან ნაშრომთა და ნაგრძნობთა რაოდენობაა მისაღები. ზარმაცი და მუქთახორა კაცი, რაც უნდა ხანგრძლივი იყოს მისი უსარგებლო არსებობა, ცოცხლათ კი არა, ცოცხლათ მკვდრათ არის მისაჩნევი. ხალისი მუდმივისა და სასარგებლო შრომისადმი ერთნაირათ სასარგებლოა, მიუცილებელი პირობაა როგორც მამაკაცთა, ისე დედაკაცთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. რამოდენათაც გონიერი შრომა სასარგებლო და სასიმრთელოა ადამიანისათვის, იმოდენათ უქმათ ყოფნა სხეულის მომადუნებელი და ყოველნაირათ დამღუპველი არის. სულ უბრალო, ესრედ წოდებული შავი მუშაობაც ათას წილათ საქებური, კეთილშობილური და სასარგებლოა უქმათ ყოფნაზე. ზოგიერთ სუსტი გონების პატრონს ფიზიკური შრომა სათაკილოდაც მიაჩნია და სრულებით ვერ გრძნობს, რომ კაცი შრომის მოყვარე, რომელიც არა თუ სხვის ხელში შემჩერეა, თავის თავსა და ოჯახს არჩენს, ისეთივე პატივსცემის ღირსია, როგორისაც ვინმე ცნობილი საზოგადო მოღვაწე. არც ერთი დიდი და მკვიდრი საქმე სულის წაბერვით არ გაკეთებულა; გენიოსთა საუკეთესო ნაწარმოებნი ნაყოფია კეთილშობილური შრომისა და მოთმინებისა. ქვეყნის ბედს განაგებენ მშრომელი ადამიანები და ისტორიიდამაც ვიცით, რომ არც ერთი შესანიშნავი მოღვაწე ზარმაცი არ ყოფილა. უმეტესი ნაწილი მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა შექმნილია შრომის მოყვარე ადამიანებისაგან. შრომის მოყვარე პირისათვის აუტანელი სასჯელი უქმათ ყოფნაა და თუ ასეთი ადამიანი რაიმე შემთხვევით მისგან არჩეულ საქმეს ჩამოშორდა, ის მალე სხვა საქმეს კიდებს ხელს. შეგნებული ადემიანისათვის საქროა შერჩეული შრომა, ესე იგი ფიზიკურ შრომას თან უნდა მოსდევდეს გონებრივი, რომელსაც დაღლილი სხეული ისე მიიღებს, როგორც დასვენებას. გონივრული და შერჩეული შრომა სასარგებლოა როგორც სხეულისათვის, ისე სულისათვისაც. უქმათ ყოფნა, მარტო სმა ჭამა და ძილი, ბევრათ უფრო მავნებელია ყოველნაირ შრომაზე. გზა შრომისა არის გზა კეთილწარმატებისაკენ მიმართული და რაც მეტი სიმედგრით მიდის ამ გზაზე ადამიანი, მით უფრო გამარჯვებულია ის ცხოვრებაში. ამბობენო—სთქვა სმიტმა—ბედი ბრმა არისო, მაგრამ ბრმები ვართ თითონ ჩვენ. საკმაოა ცხოვრების მცირე დაკვირვებაც იმის შესანიშნავათ, რომ ბედნიერება ხვედრია ყოველთვის შრომისმოყვარისა. საქმეში გამარჯვება აუცილებელი შედეგია პატიოსანი შრომისა და ამისათვის მაინცდამაინც კაცის არაჩვეულებრივი თვისებები კი არა, მარტო ორი რამ არის საჭირო: კეთილგონიერება და დაუზარელი შრომა. ბევრი შესანიშნავი ნიჭის პატრონები გამარჯვების მიზეთათ თავის ნიჭს კი არა, შრომისმოყვარეობას, მოთმინებას და კე-

თილგონიერებას თვლიდენ. ზოგი იმასაც ამ-ბობდა, რომ გენიოსობა არაფერი არ არის გარდა გაძლიერებულათ აზროვნებისა და მოთ-მინებით შრომის ნიჭისა. ნიუტონი მეცნიერე-ბაში სახელოვანი შეიქმნა განუწყვეტელი შრო-მის მეოხებით. იმისი დასვენება მხოლოდ სა-მაცადინო საგნის შერჩევა იყო.

ამნაირათ, ვისაც არ უნდა, რომ ქვევნის ბარგათ გახდეს და ნამდვილ ადამიანთა გუნდს გამოეთიშოს, ვისაც ახსოვს ადამიანური თავ-მოყვარეობა და სარგებლობა ოჯახობისა და სა-ზოგადოებისა, მან ცხოვრების მიზნათ უნდა გაიხადოს მუდმივი პატიოსანი და აზრიანი შრომა, როგორც ფიზიკური, ისე შეძლებისა-მებრ გონებრივიც. ყოველ ნამდვილ ადამიანათ ყოფნის მსურველს უნდა ახსოვდეს, რომ სი-ზარმაცე, უქმათ დროს ტარება, დამღუპველია კერძო ადამიანის, დამამხობელია ოჯახის და შემარცხვენელი არა თუ მარტო პატიოსან ადამიანებთან, თვით „უფალთან, „ომელმაც პირველსავე კაცს ვალათ დაუდო „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი“.

მუშაკი.

ორ კვირაში.

მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონ-ცოვ-დაშკოვი 7 მაისს ნაშუადღევის 5 საათზე, საგანგებო მატარებლით ყირიმს გაემგზავრა.

— —

მცხეთის ტაძარი. დიდი მთავარი კონსტან-ტინე კონსტანტინეს ძე ყოფილა საქართველოს ეგზარხოსთან, საეკლესიო საკითხების გამო უბაასნია და განუცხადებია, ხელმწიფე იმპერა-ტორს ძალიან აინტერესებს საქართველოს დი-დებულნი სიძველენი, რომელნიც ევროპის ეკ-ლესიის ისტორიულ ბედს მოგვაგონებენ და ეხლა კი უმწეო მდგომარეობაში არიანო. ეგ-ზარხოსს სწორედ ამ დროს მიუღია უწმინდე-სი სინოდის ბრძანება მცხეთის ტაძრის რეს-ტავრაციის შესახებ. დიდ მთავარს კონსტან-ტინე კონსტანტინეს ძეს გადაუცია ეგზარხო-სისთვის კანდელი, რომელიც კნეინა ტატიანა კონსტანტინეს ასულს და თავად კონსტანტინე ბაგრატიონ—მუხრანსკის თავიანთი შვილის, თეიმურაზის დაბადების გამო მცხეთის ტაძრის-თვის შეუწირავსთ.

— —

გურია სამეგრელოს ეპისკოპოზს ყოვლად სამღვდელო ლეონიდს ებოძა ანნას ორდენი პირველი ხარისხისა.

გორის ეპისკოპოზს ანტონს წმ. ვლადი-მირის ორდენი მესამე ხარისხისა.

— —

სიონის საკათედრო ტაძრის გალავნის გაფართოვება კარგა ხანია განზრახული იყო, მაგრამ ამ საქმის განხორციელება დღემდე ვერ მოხერხდა უმთავრესად ნივთიერ ხელმო-კლეობის გამო. ამ ჟამად ეს საქმე დეკანოზ ტყემალაძის თაოსნობით სასურველ კალაპოტ-ში ჩადგა. ტაძრის კრებულმა უკვე შეიძინა 12,000 მანეთად პოლკოვნიკი ქართველიშვი-ლისაგან მიწა თვის მაღაზიებით. ამას გარდა ტაძარს უსასყიდლოდ დაუთმო მთავრობამ გვერდით მდებარე სახაზინო მიწა. ტაძრის გა-ლავნის გაფართოვება და გამშვენიერება მოკ-ლე ხანშია განზრახული. ამ ფრიად კეთილ საქმის დასამთავრებლად განსვენებულ ქველ-მოქმედის ქვრივმა ე. ი. სარაჯიშვილისამ 500 მან. გადასდო, ხოლო კნეინა ალ. მაკ. ასულ-მა ჯამბაკურ-ორბელიანისამ-100 მან. იმედია ქართველი საზოგადოება ამავ მიზნისთვის თვის წვლილს არ დაიშურებს, რადგანაც თვით ტა-ძარს არ მოეპოვება ნივთიერი ღონისძიება და-წყებულ საქმის დასამთავრებლად.

— —

მის მეუფებას ეპ. გიორგის განკარგულე-ბა მოუხდენია კვლავ მონასტრის ადგილების და თანხების შემოსავლიდან წინამძღვარს და ძმებს ნაწილი აღარ დაედვას, არამედ მთელი შემოსავალი მონასტრის შენობების შეკეთე-ბას და სხვა საჭიროებას მოხმარდესო.

— —

იმერეთის სამღვდელოების 55 კრების კერძო მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია ადგილობრივ ჟურნალ გაზეთებში. ჰეშმარიტ

რუსთა ორგანო „Голосъ Кавказа“ გმობს ამ მოხსენებას და უწოდებს მას „возмутительная по формѣ и содержанію.“ ამის პასუხად გაზ. „зак. рѣчь“-ს მთელი მოხსენება გადაუბეჭდია 10 მაისის ნომერში.

———

ბრილიანტჩიკს იოსებ გვეტაძეს ვიღაც თავადიშვილისაგან შეუძენია ნაწილებიანი ქართული ხელობის ოქროს ხატი. ხატი წარმოადგენს მინიატურულ სახარების ბუდეს, თუმცა სახარება შიგ აღარ არის. სიგრძე სიგანით ეს ბუდე ოთხი გოჯი იქნება, ხოლო სიმაღლით ერთ გოჯ ნახევარი, ან ცოტა მეტი; ერთ გვერდზე გამოყვანილია ღვთის მშობელი ყრმით, ხოლო მეორეზე ჯვარცმა. ბუდე ორივე მხრით იღება. ერთ მხარეზე მხოლოდ ნაწილებია ჩასვენებული პატარ პატარა უჯრებში, რომლებსაც ზოშაზე გამოჭრილი ქაღალდები აფენიათ თავზე ზეწარწერით, თუ რომელი წმიდანის ნაწილია ამა თუ იმ უჯრაში ჩასვენებული, მაგ. წ. სტეფანე პირველმოწამისა, ეგნატე ღმრთშემოსილისა, წ. გიორგისა, წ. ბარბარესი და სხვა. მეორე მხარეზე ჩასვენებული ყოფილა მინიატურული სახარება, ხოლა სახარების ქვეშ ისევ ნაწილები, რასაც ცარიელი უჯრები გვაჩვენებს. ეს ძვირფასი განძი თურმე ხშირათ ყოფილა დაგირავებული ურიებთან და იმავე ურიებს უნდა შეერჩინათ, რა თქმა უნდა, მუქთად. მადლობა ღმერთს, დღეს იგი ქრისტიან ქართველის ხელშია, რომელიც ნებას არ მისცემს თავს უმართებულოდ მოეპყრას ამ სიწმიდეს და ან სამშობლო მხარეს დაუკარგოს იგი, როგორც სიძველე. ბევრი ვსინჯეთ, მაგრამ ხატს ვერაფითარი წარსწერა ვერ ვუპოვეთ. საინტერესოა ვიცოდეთ, რა მოუვიდა იმ მინიატურულ სახარებას, რომლის უბუდეს წარმოადგენს ხსენებული ხატი?

———

შანტაჟისტებმა კიდევ იჩინეს თავი ქუთაისში

ხუთშაბათსს, 8 მაისს, საღამოს 9 საათზე, ბოროტგამზრახველებმა გაიტაცეს შეძლებული ებრაელი ვაჭრის აროონ რიეინაშვილის ვაჟი, რომელიც წელს ათავებდა რეალურ სასწავლებელს. რიეინაშვილი სასწავლებელში ყოფილა და საღამოს 9 საათზედ გაუთავებია ეგზამენი. გამოსულა თუ არა, ჭიშკართან დახვედრია ორი ბოროტგამზარხველი ეტლით, ყმაწვილი ჩაუსვამთ და ეტლი ბალახვანის ქუჩით გაუქანებიათ. ეს ამბავი მყის მოედვა ქალაქს, ამოძრავდა მთელი პოლიცია, მოედვნენ ყველა ქუჩებს, მაგრამ ჯერჯერობით დამნაშავეთა კვალი ვერ მიაგნეს.

———

წერილი რედაქციის მიმართ.

რედაქციამ მიიღო დეპუტატ მღ. ს. ხარაძისაგან შემდეგი შინაარსის წერილი: „გიგზავნით ამასთანავე ორ მანეთს და გთხოვთ გაზეთი გვიგზავნოთ ამ წლის განმავლობაში. დანარჩენსაც მალე გაახლებთ. გთხოვეთ სრულ გამოუცხადოთ იმ დეპუტატს, ვინც გაზეთის საქმე ჩაიბარა ენატარტალით“.

მღვდ. ს. ხარაძე.

———

შინაარსი: 1. სიტყვა წმ. თამარ მეფის დღეს—ეპ. ლეონიდი. 2. თამარის ქვეყანა—ფარსმან ფარუსი; 3. თამარის დღე — „იმერეთი; 4. წმ. თამარ მეფის დღესასწაული თფილისში; 5. ქართული პრესა და სამღვდელოება; 6. ღია წერილი სამღვდელოებისადმი; 7. მვონი მოვტყუვდით!—რედაქცია; 8. კანონი არსებობისა არის შრომა, რაზედაც დამოკიდებულია როგორც კერძო ადამიანთა, ისე საზოგადოების კეთილდღეობა—მუშაკი; 9. ორ კვირაში; 10. წერილი რედაქციის მიმართ—მღვ. ს. ხარაძე.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჭედლიძე.**

გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის შვილების სახლი.